

# ოზურგეთის თეატრი სტამბულის ფესტივალიდან სამი პრიზით დაბრუნდა



ანა პეტროვასა და ნევენა მიტევას სპექტაკლი „კოცნა“ ბულგარეთსა და უკრაინაში წარმატებული ტურის შემდეგ მალთაფეს საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობდა, რომელშიც ათი ქვეყნის ჩვიდმეტი თეატრი იყო წარმოდგენილი. თავად თურქეთი ფესტივალზე შვიდი თეატრი იყო წარმოდგენილი.

ოზურგეთის თეატრი ამ მნიშვნელოვანი საერთაშორისო თეატრალური ფორუმიდან სამი პრიზით დაბრუნდა. **ვასო ჩიგოგიძე**, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი: „საუკეთესო განწყობით დაკრძალული სტამბოლი. ჩვენმა სპექტაკლმა მოწონება დაიმსახურა“.

რა. განსაკუთრებით, როგორც მოსალოდნელი იყო, აღინიშნა თამარ მდინარაძის მიერ განსახიერებული ქალი პერსონაჟები და ქალბატონი თამარი დაჯილდოვდა ფესტივალის მთავარი პრიზით ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის. ფაქტობრივად, სამი ფესტივალიდან თამარმა შეიძლება ითქვას, მოწყობა ეს ვარსკვლავები და თან წაბოილო.“

ფესტივალის ფიურის მიერ აღინიშნა ჩვენი სპექტაკლის სცენოგრაფია, დიდი მოწონება დაიმსახურა ვასო ჩიგოგიძის, ზაზა ჯინჯარაძის, შორენა გვეტაძის, ანი გოდერძიშვილის, კობა ახალაძის, ლევან სალინაძის მიერ შექმნილმა როლებმა. თეატრი მონაწილეობისთვის დაჯილდოვდა სპეციალური პრიზით, ხოლო სამხატვრო ხელმძღვანელი მალთაფეს მერის ალი კილიჩის პრიზით.

## ევრაზიის თეატრებისა და ფესტივალების თანამშრომლობის მემორანდუმი

ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ვასო ჩიგოგიძე მნიშვნელოვნად მიიჩნევს ევრაზიის შვიდი ქვეყნის მიერ თანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერას. მემორანდუმზე ხელმოწერა ფესტივალის დახურვის დღეს, საზეიმო ცერემონიაზე, სცენაზე მაყურებლის თანდასწრებით შედგა.

**ვასო ჩიგოგიძე:** „მემორანდუმის ხელმოწერასთან ერთად ერთმანეთს მივუცით პირობა, რომ მომავალ წელს ისევ შევიკრიბებით. სტამბოლი ხომ ევროპისა და აზიის გამყოფი ქალაქია და სიმბოლურია, რომ ევროპისა და აზიის ქვეყნების თეატრების თანამშრომლობას აქ ჩაეყარა საფუძველი. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში და დანარჩენ სხვა ქვეყანაში მხარს

დაუჭერენ ამ მემორანდუმს. ამ შეიდეულში არის უკრაინა, რუმინეთი, აზერბაიჯანი, უზბეკეთი, თურქეთი და რა თქმა უნდა საქართველო... თეატრებისა და ფესტივალების თანამშრომლობა ძალიან საინტერესო და შედეგიანი იქნება. იგი თავად ამ ფესტივალსაც გააძლიერებს, გაამრავლებს და უფრო მულტიფუნქციურს გახდის.“

ალსანიშნავია მალთაფეს მერის, ბატონი ალი კილიჩის ინტერესი გურიის მიმართ. იგეგმება მისი ვიზიტი თეატრის ახალი შენობის საზეიმო გახსნაზე და მასშტაბური თანამშრომლობა. ფესტივალის განმავლობაში ჩვენი გვექონდა ხშირი შეხვედრა და კონტაქტი.“

**ლია კილაძე**,  
თეატრის პრესსამსახური



# ა ლ ი ო ნ ი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი    გ ა ზ ე თ ი .

მრავალკვირეული გამოშვება.    № 32 (10325) 23 ნოემბერი, 2019 წ.    ფასი 60 თეთრი.

## „შემოქმედობა“ საინტერესო ფინალით



სს „ტრანსსერვისი“  
ბილოცაპო  
ახალი სასწავლო  
წლის დაწყებას!

ტაქსი  
გამოქაჩებით

ტელ: 0(496)  
275544; 0790 554455

## ბოვისმეთაზე უკანონო მშენებლობები ბრძოლა ზელახელმწიფის სამსახური სახლზე ნომრების მინიჭების საშუაშობის ბოლო ეტაპს ასრულებს

**ალიონი.** კურორტ გომის მთაზე უკანონო მშენებლობები კვლავ ვრცელდება, პარალელურად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის განყოფილების სპეციალისტები არსებული შენობების აღრიცხვა-ნომრის მინიჭების საშუალებას ასრულებენ. მათ უკვე დანომრეს 850-ზე მეტი სახლი.

ამჟამად გომისმთაზე გადამს თუ გამოდამ ნაწილში, ხის სოფელით „შეარაღებული“ ადამიანები კურორტის მიმდებარე სელოსა თუ მთების კალთებზე გამაღვებით ნიშნავენ სააგარაკო სასხლების დასადგმელ ადგილებს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტები ზაზა მენაბდე და დავით სალუქვაძე, კურორტზე მუნიციპალიტეტის მუდმივ წარმომადგენელ ზურაბ ჩხარტიშვილთან ერთად, ამ პირებს ადგილზე აფრთხილებენ, რომ მათი ქმედება უკანონოა, თუმცა, ისინი, თავისას არ იშლიან და ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტების სხვა ადგილზე გადაადგილებისთანავე განაგრძობენ უკანონო ქმედებას.

გომისმთის გადამს ნაწილში სუთი მოვრალი მამაკაცი ედავებოდა ზურაბ ჩხარტიშვილს და ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტებს, რომ სადაც სურთ, იქ დადგამენ სახლს, რადაც „კუთხურობაზე“ საუბრობდნენ.

ილია ჭვალაძე ამჟამად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბანში ცხოვრობს. მისი სააგარაკო სახლი შუახევისა და



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზღვარზე, ხარიათაღის ღელის გამოდამ მდებარეობს. ვესაუბრეთ და აზრი გვითხეთ სააგარაკო სახლებზე ნომრების მინიჭებასთან დაკავშირებით.

— ვერაფერს ვეტყვით. ჩვენ აქ საჭიროელი ამოგვყავს და ყური წავკარი, რომ მომავალში დასახლებაში ძროხებს ვერ ვიყვლილებთ. ამას ვერ შევეცდებით. ისე ახლა რომ ნომრავენ, აქ როცა ხალხი იყო, მაშინ უნდა გაეკეთებინათ და მათი აზრი მოესმინათ. მე ვერც მათი მეზობლის სახელს და ვერც ვერ ვეტყვით. მათ უნდა ჰკითხოთ, — ვეითხრა მან.

შუახველამ ქათამაძემ (სახელი არ ვეითხრა), მეზობელი მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ სახლვართან დაკავშირებით გამოთქვა აზრი.

— სულ დავა იყო ორი მუნიციპალიტეტის სახლვართან დაკავშირებით. მე კი ვაგვივთ, რომ ადმინისტრაციული სახლვარი ხარიათაღის წყალზე გადის, მაგრამ სხვები გაიყვანენ?

სააგარაკო სახლებზე ნუმერაციის მინიჭებასთან დაკავშირებით თავისი დადებითი აზრი გამოთქვას სოფელ დანდალოს (ქედის მუნიციპალიტეტი) და სოფელ ტაკიძის (შუახევის მუნიციპალიტეტი) მცხოვრებმა თამაზ მოსიძემ და რამაზ ტაკიძემ.

— ძალიან კარგი საქმეა. სააგარაკო სახლები, სადაც ჩვენ გასაფხუვლიდან მოყოლებული 4 თვის განმავლობაში ვცხოვრობთ,

დაგვირგვინებდა და ჩვენი ოფიციალური საკუთრება გახდება. შუახევის მუნიციპალიტეტმა შუქი შემოიფანა კურორტზე, კარგია. იმედა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი გზებს მიხედვს, — ვეითხრეს მათ.

კურორტის გამოდამ მხარეს ამჟამად 50-მდე სახლი შენდება. ერთ-ერთი პირი პირდაპირ ოფროულის ტრასის პირას დგამდა სახლს.

— აქ სპორტული შევებირები უნდა გაიმართოს. ყველა გაფაფრითხილეთ, რომ აქ სახლი არ დავდა. რატომ არაგვის არაფერს ვეითხებთ? — მიმართა ვინმე გ. ტ. ს ზურაბ ჩხარტიშვილს და დაწვეული მშენებლობა შეაჩერებინა.





# გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა:**  
**ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.**

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწარმოები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

**სარეკლამო კომპანია**  
**რედაქტორი**  
**ნუგზარ ასათიანი**  
**nugzarasatiani@rambler.ru**  
**558 499100**  
**საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:**  
**თემურ მარშანიშვილი**  
**tem52@mail.ru**  
**599 373515**  
**კომპიუტერული უზრუნველყოფა**  
**გიორგი გოგოლაძე**  
**gia\_77@mail.ru**  
**551 576060**  
**რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3**  
**ტელ: 558 499 100** გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
**გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“**  
**მის: თბილისი, გ. ბაგრატიონის ქ. №77**

**დაინყეთ ყოველი ოჩხაბათი აციონზე**  
**«ალიონით»**

# „შემოქმედობა“ საინტერესო ფინანსით

**ალიონი.** გასულ პარასკევს მორიგი სასახლო დღესასწაული „შემოქმედობა“ გაიმართა, საინტერესო პროგრამით და მცირე ადგილობრივი მაცურებელი ღონისძიებას კულტურის სამსახურების, ანსამბლების წევრები და ბავშვთა ანსამბლების წევრი ბავშვების მშობლები ესწრებოდნენ. შემოქმედელთა პასიურობა თავის გამოსვლაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა, კონსტანტინე შარაშენიძემაც აღნიშნა.

საინტერესო პროგრამებით წარსდგნენ მაცურებელთა წინაშე სტუდენტურ-ფოლკლორული ანსამბლი „ედილინიკი“ (პოლონეთი), ხალხური სიმღერების ანსამბლები „ადონი“, „ვახტანგური“, ანსამბლი „ალილია“, სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი „გურია“, „აისი“, ინდივიდუალური შემსრულებელი რეზი ხოშიერიკი, მანანა არევაძე და სხვები.

კონცერტის დასასრულს სიტყვებით გამოვიდნენ: გურიის გუბერნატორი **ზურაბ ნასარაია**, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **კონსტანტინე შარაშენიძე**, რეჟისორ

„საპატიო შემოქმედლის“ ტიტულის მფლობელების ვინაობა ამცნო საზოგადოებას. „საპატიო შემოქმედლები“ ცნობილი გზის მშენებელი, შპს „გზამშენი 18“-ის უფროსი **თემურ ჯახვა** და ცნობილი სამეურნეო მუშაკი **ოთარ გვეაძე** გახდნენ.

თავის სიტყვაში თემურ ჯახვამ აღნიშნა, რომ მან ბევრი რამ გააკეთა სოფლისთვის, მაგრამ თვლის უფრო მეტი უნდა გაეკეთებინა. კეთდება შემოქმედის ტაძართან მისასვლელი გზა, ბეტონის

მოპირკეთებული კედლით და გადასახედი მოედნით, კურორტ გომისმთაზე მიმდინარეობს ითანე თეზბიტელის სახელობის ტაძრის მშენებლობის სამუშაოები, რომელიც მომდევნო წლის ბოლოს ძირითადად დასრულდება. ამ მშენებლობაში მას შეაქვს თავისი წვლილი. მომავალ წელსვე გაკეთდება ბუფუქსი-გომისმთის კაპიტალური გზა სამი გადასახედი მოედნით და ა.შ.

თანასოფლელებს სამადლობელი სიტყვით ოთარ გვეაძემაც მიმართა.

# ოზურგეთში იურიდიული დახმარების სამსახურის ბიურო გაიხსნა

**ალიონი.** სექტემბრიდან გურიის მცხოვრებლები უფასო იურიდიულ მომსახურებას იურიდიული დახმარების სამსახურის ასალგანსნილ ბიუროში მიიღებენ. 2008 წლიდან ადგილობრივებს იურიდიულ კონსულტაციას ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრი უწევდა. ბენეფიციარების მაღალი მოთხოვნის გათვალისწინებით, იურიდიული დახმარების სამსახურმა გურიაში ბიუროს გახსნის გადაწყვეტილება მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან ადგილობრივი მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი გახდება სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი უფასო სამართლებრივი დახმარების ყველა სერვისი.

ბიუროს თანამშრომლები ადგილობრივებს გაუწევენ ისეთ დახმარებას, როგორცაა: იურიდიული კონსულტაცია ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე, სამართლებრივი დოკუმენტაციის შედგენა, საადვოკატო მომსახურება და წარმომადგენლობა ადმინისტრაციულ ორგანოში – კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გახსნის ცერემონიაზე მოსულ ადგილობრივებს იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუბრაშვილმა წარუდგინა ოზურგეთის ბიუროს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი იამზე მემარნიშვილი.

**რაჟდენ კუბრაშვილი**, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი: „იურიდიული დახმარების სამსახური თანდათანობით ზრდის სერვისების ტერიტორიულ ხელმისაწვდომობას, რაც გულისხმობს ახალი ოფისების გახსნას, განსაკუთრებით იმ დასახლებებში, სადაც პოტენციური ბენეფიციარების რაოდენობა მრავლადაა. გასულ ზაფხულს ჩვენ 3 საკონსულტაციო ცენტრი გავეხსენით, დღეს კი ჩვენს სამსახურს ოზურგეთის ბიურო დაემატა. გურიის მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება, კვალიფიციური ორისტიებისგან მიიღოს კონსულტაციები, იურიდიული დახმარება და სამართლებრივად გადაჭრას მისთვის მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხები. ოზურგეთის ბიუროს უფროსის მოვალე-

ობას ჩემი კოლეგა და იურიდიული დახმარების სამსახურის ძველი თანამშრომელი იამზე მემარნიშვილი შეასრულებს. ქალბატონი იამზე ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრში 2008 წლიდან მუშაობს და მას ქალაქში კარგად იცნობენ.“

საკონსულტაციო ცენტრის გახსნის საზეიმო ცერემონიას ესწრებოდნენ აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლები. მათი შეფასებით, გურიაში იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრის გახსნა დროული და მნიშვნელოვანი მოვლენაა.

იურიდიული დახმარების სამსახური უფასო სამართლებრივი დახმარების გაწევის სახელმწიფო ორგანიზაციაა. იურიდიული კონსულტაცია ხელმისაწვდომია ყველა პირისთვის ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, ხოლო გადახდისუნარი პირებისათვის ზორციელება სამართლ-



ბიუროს დირექტორის შედგენა და საადვოკატო მომსახურების გაწევა სასამართლოსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში.

დღეის მდგომარეობით, ქვეყნის მასშტაბით იურიდიული დახმარების სამსახურის 13 ბიურო და 10 საკონსულტაციო ცენტრი მოქმედებს. იურიდიული დახმარების საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს რეგიონებში უახლოეს მომავალში დამატებით ამოქმედდება იურიდიული სამსახურის 1 ბიურო და 6 საკონსულტაციო ცენტრი.

# ბომბისთაზე უპანონო მშენებლობები ბრძოლა

**ზედახმელეთის სამსახური სახლებზე ნორმების მიინიჭების საშუალებების ბოლო ეტაპს ასრულებს**



რამდენიმე მოქალაქეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზედახმელეთის სამსახურმა მითითების წერილები გადასცა. ირაკლი და გიორგი თავაძეებმა სახლები ყოფილი ნასაკირალის მოსწავლეთა ბანაკის თავზე, დაუსახლებელ ადგილას დადგეს. მუნიციპალიტეტი მათ ამ სახლების დემონტაჟს სთხოვს, რისთვისაც გარკვეული ვადა აქვთ მიცემული.

ოთარ ქათამაძეს დასადგმელი სახლის ჩაბეტონებული მილები ტრაქტორით ამოუთხარეს, თუმცა, მორე სახლი გომისმთის წყლის მთავარ მაგისტრალზე დადგა. მისცეს წერილობითი მითითება, თუმცა ამის შემდეგ მან აშენებულ სახლს ქვემოთ ბეტონის გამაგრებითი სამუშაოები შეასრულა.

ხარიათაძის გამოცემა მთის ფერდობზე, სადაც დასახლება არასდროს ყოფილა და სპორტული შევიძირებს მართავდნენ, მურად ბერიძემ დადგა სახლი. მასაც გადაუ-

ცა გაერთიანების წერილი. აქვე ერთი მშენებარე და მორე დასრულებული საგარაკე სახლის მეტრონებს ადგენენ.

ქობულეთელმა ბადრი გომეზაძემ მაღალი გორის თავზე რკინით შემოჭრილი უცნაური ნაგებობა დადგა და ზედჯვარიც გაუკეთა. როგორც ვითხარეს, აქ „ნუღისტები“ იკრიბებან. გომეზაძეც წერილობითი მითითებითაა გაერთიანებული. წელს, გომისმთის გადაღმა, კურორტიდან რამდენიმე კილომეტრში ეწ. „კახანტიპა“ გაიმართა. თვითმშენებლები ყვებან, როგორ შემოსახლდნენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა ტყეში საკმაოდ დიდი ტერიტორია და ერთი თვის განმავლობაში, ცივილიზაციის მოწყობილები აქ ატარებდნენ დროს.

წვერიდით, და კიდევ გაგიჟორებით არაერთი „ვერძინა“ აშენებს საგარაკო სახლებს კურორტ გომისმთაზე. მუშებმა

„არ იცან“, ვის სახლებს აგებენ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზედახმელეთის სამსახურმა ტრაქტორით 30-მდე სახლის კაპიტალურად დაბეტონებული ბოძები მოთხარა. თუმცა, რამდენიმე ადგილზე მოთხრილ ბოძებს გვერდით ასალი ორმოება ამოღებული და უფრო მასშტაბური მშენებლობები მიმდინარეობს.

ამ მხრივ ყველაზე ცუდი მდგომარეობა ითანე თეზბიტელის მშენებარე ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარესაა. აქ ეწ. „ელიტურ უბანში“ ყველაზე ძლიერადაა გაჩაღებული მშენებლობები და კიდევ ასალი სახლების დასადგმელ ადგილებსაც ამზადებდნენ.

უსამართლობის განცდა გუფლებმა, როცა ხედავ ერთს დაუფრთხიეს და მას შემდეგ იქვე გვერდით ასალი შენდებ. ბუნებრივია, ასეთი რამ არაოფიციალური ნებართვების გარეშე არ ხდება.


\* \* \*

გვინდა კურორტ გომისმთის სხვა პრობლემებსაც შევეხოთ. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში კურორტზე ბუფუქსიდან მაღალი ძაბვის სახები აიყვანეს. სამწუხაროდ, მომდევნო წლებში ქვეყანაში განუკითხაობის დროჟამი დადგა და სახები ჩამოხსნეს და თურქეთის გზას გაუყვნეს. „ენერჯო პროჯექტი“ სახების აღდგენის ნაცვლად, 7 მაღალი ძაბვის ანბა მოთხარა და სხვანა გადაიტანა. ამჟამად კი შუქი გაცილებით დამორბეული ტერიტორიიდან, შუაგვის მუნიციპალიტეტიდან შემოიყვანეს კურორტზე.

როგორც საციალიტებმა ვითხარეს, მართალია, შიდა დაქსელის სამუშაოები კარგად შესრულდა, მაგრამ მთავარი მაგისტრალის სუსტი ბოძები ვერ გაუძლებს დიდთოვლობას, მუდმივად ავარიები იწვება და საჭიროდ თვლიან ბუფუქსი-გომისმთის

ულექტრომაგისტრალის აღდგენას.

მომავალ წელს ბუფუქსი-გომისმთის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები უნდა დაიწყოს, თუმცა აქ დგას მძიმეწინაინი მანქანების გადაადგილების საკითხი. საქმე ისაა, რომ თავის დროზე ქობულეთის რაიონს 100 წლით გადასცეს გომისმთის მიმდებარე წიწვოვანი ტყეები, სადაც მათ ტყეყავი აქვთ და სამასაღე მერქანს ამზადებენ. მორების ტრანსპორტირება მძიმეწინაინი ავტომანქანებით გომისმთა-ბუფუქსი-ოზურგეთის გზით ხდება, რაც ძალიან აზიანებს გზას. ასევე, იმის გამო, რომ ძალიან ვიწროა და დაზიანებულია გომისმთა-ჯვარამინდორი-ჭვანას გზა (რაც ადგილზე ვნახეთ), შუაგვის მუნიციპალიტეტის ტყეყავიდანაც გომისმთა-ბუფუქსის გზით ხდება მძიმეწინაინი მანქანებით ხის მორების ტრანსპორტირება, რაც გასათვალისწინებელია ასალი გზის მშენებლობისას.





# ლიტერატურული გურია



საქართველოს მფარველთა შიშველებითი კავშირის გურიის ორგანიზაციის ბაზით №1, სამთავარი, 2019 ♡

## კეთილი იყოს ჩვენი შესვლა

გურიაში ლიტერატურა რომ უყვარდათ, უყვართ და ეყვარებათ, ამას ბევრი ფიცი-მტკიცე არ სჭირდება; გურიას რომ ყველა დროში წინიერი საზოგადოება ჰყავდა, ჰყავს და ეყოლება, ესეც მთელმა დუნამ იცის. საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის გურიის განახლებულ ორგანიზაციას რომ საკუთარი პერიოდული გამოცემა ექნება, ამას ახლა ამ წერილ-ით გაიგებთ.

„ლიტერატურული გურია“ შეეცდება, განაგრძოს თავისი წინამორბედების მიერ დაწყებული, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებით შეჩერებული პროფესიული საქმიანობა, წარმოაჩინოს გურიაში მოღვაწე მწერლების, პოეტების, დრამატურგების, ასევე სხვა ხელოვანთა დიერ-ბული შემოქმედებითი სიახლეები.

რომ არა უკან მოტოვებულ საუკუნეებში მცხოვრებ წინაპართა განუზომელი ღვაწლი, გურიაში წერისა და წიგნის კულტურა ასე მაღალი ვერ იქნებოდა. მარტო ის რად ღირს, რომ ოზურგეთში, 1892 და 1894 წლებში ორჯერ გამოიცა „ვეფხისტყაოსანი“.

თუ წინა ასწლეულის შესაბამის წყაროებს გადავხედავთ, ჯერ კიდევ

1924 წელს, მაშინდელმა მწერალთა კავშირის ორგანიზაციამ, ვანო სერელის ხელმძღვანელობით, გამოსცა „ჩვენი არგონავტი“ – პირველი გურული ლიტერატურული გაზეთი; გასული საუკუნის 60-70-იან წლებში გამოვიდა ხელნაწერი კრებული „შოთას ღიმილი“, რომელიც, სხვა ლიტერატურულ-კულტურულ საგანძურებთან ერთად, სამწუხაროდ, შთანთქა ოზურგეთის რაიონული კულტურის სახლში გაჩენილმა ხანძარმა; 80-იან წლებში დაარსდა ლიტერატურული ჟურნალი „ალიონი“, მაგრამ, რატომღაც მისი მხოლოდ ერთადერთი ნომრის გამოცემა მოხერხდა; 80-იანი წლების ბოლოს ბატონი ვაჟა ჭანუყვასის თავკაცობით, არაერთი საინტერესო წიგნი დაიბეჭდა ოზურგეთის სტამბაში; ამავე წლებში გაიბრწყინა გამომცემლობა „მარიოტაშ“ და ამავე სახელწოდების ლიტერატურულმა ჟურნალმა, ბატონების, მამუკა გოგუაძისა და თამაზ ხარაიშვილის თაოსნობით, დაიბეჭდა სიმონ გუგუნავას „თამარიანი“ და გამოიცა „მარიოტას“ ორი ნომერი; შემდგომ პერიოდში კი, მკითხველი საზოგადოების დიდი მოწონებით სარგებლობდა გამოცემა „გუბ-

აზეული“, რომელიც მაშინდელი გურიის მწერალთა კავშირის თავკაცის, ბატონი ვიზო ჭელიძის (მთავარი რედაქტორი) და ბატონი ნუგზარ ასათიანის (რედაქტორი) ორგანიზატორობით გამოდიოდა.

გურიის ლიტერატურული ცხოვრების მაჯისცემას, რასაკვირველია, გარკვეულწილად განსაზღვრავდნენ ადგილობრივი გაზეთები და ცალკეული გამოცემები. იმის თქმა გვსურს, რომ პერიოდულ გამოცემებში გურიის ლიტერატურული ცხოვრება ყოველთვის მრავალსახონად გამოიყურებოდა, ვიმედოვნებთ, თქვენი მხარდაჭერით, ეს ტრადიცია შენარჩუნდება.

„ლიტერატურული გურია“ არ იქნება მხოლოდ საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის გურიის ორგანიზაციის გაზეთი, რედაქციის კარი ყოველთვის ღია იქნება შემოქმედებითად მოაზროვნე, მაღალი დონეზე მყოფი ნაწარმოებთა შემქმნელი სამივე თაობის წარმომადგენელთათვის. მოკლედ, ეს „ლიტერატურული გურიას“ პირველი, ცინცხალი ნომერია.

კეთილი იყოს ჩვენი შესვლა!

## ბილოცავით!

### კვირვასო მემობრავო!

ჩვენდა გასასარად, წლეულს მუშაობა განაახლა საქართველოს მწერალთა კავშირის გურიის მწერალთა რეგიონულმა ორგანიზაციამ, რაც მისასალმებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელად, ადგილობრივი მწერლების წარდგინებით, საქართველოს მწერალთა კავშირმა დაამტკიცა ცნობილი პოეტი და პუბლიცისტი ვეპულ დობორჯანიძე.

გურია, თავისი ლიტერატურულ-კულტურული ტრადიციებით და შესაძლებლობებით, იყო და არის საქართველოში ერთ-ერთი მოწინავე რეგიონი, სადაც არაერთი სახელოვანი მწერალი – პოეტი თუ პროზაიკოსი დაიბადა, რომლებმაც მსოფლიოში სახელი გაუთქვეს ქართულ მწერლობას, მარტო ანა კლანდაძის და ნოდარ დუმბაძის დასახელება კმარა.

ქართულ მწერლობას დღესაც ამშვენებენ გურიაში მოღვაწე შემოქმედნი, რომლებიც საქართველოს მწერალთა კავშირისა და გურიის რეგიონის ხელმძღვანელობის მხრიდან მხარდაჭერასა და ხელშეწყობას საჭიროებენ საორგანიზაციო თუ შემოქმედებით საქმიანობაში.

გურიის მწერალთა ორგანიზაციამ უკვე დაარსა და საკუთარი ფინანსებით გამოსცა გაზეთი „ლიტერატურული გურია“, რომლის პირველ ნომერს თქვენს ახლა კითხულობთ. რედაქტორია ნიჭიერი პოეტი და ჟურნალისტი თემურ მარმანიშვილი. სურვილი აქვთ ალაღვიანონ ლიტერატურული ჟურნალი „გუბაზეული“.

ძვირფასო კოლეგებო, საქართველოს მწერალთა კავშირი გილოცავთ ამ დიდებულ წამოწყებას, რომელიც ღრმა კვალს გააგვებს გურიის ლიტერატურულ-კულტურულ ცხოვრებაში!

საქართველოს მწერალთა კავშირი ყოველთვის გვიგულეთ თქვენს გვერდით, რათა ჩვენ, ერთობლივად ხელი შევეწყოთ უფროსი თაობის მწერალთა პროფესიულ საქმიანობას და ახალგაზრდა შემოქმედთა დაოსტატებას.

იმედს გამოეთქვამთ, რომ გურიის რეგიონის ხელმძღვანელობა მხარში დაგიდგებათ ამ საშვილიშვილო საქმეში... კიდევ ერთხელ გილოცავთ და გისურვებთ წარმატებებს!!!

საქართველოს მფარველთა კავშირი.

## ვინაა თოიკა ზიბნიდან „საუბარი დედასთან“

\* \* \*  
ღმერთო, მაქციე მაღალ საგალობლად, ვიყო „შენ ხარ ვენახი“, ვეფერებოდე ღამაზ გუმბათებს ცისფერ ტაძრისას, ზეიმობდეს მრევლი ნათლის ხილვას... მე რე ვიღვოდე ცისფერი გუმბათი, იღვრებოდე ქალაქში „შენ ხარ ვენახი“, ქუჩის ბიჭები, ავსებულნი დიდი სიკეთით, ერთმანეთს ეხუტებოდნენ და მღეროდნენ – შენ ხარ ვენახი...

\* \* \*  
წვიმის ფეხებით, წვიმის თმებით, წვიმის მოსასხამით, მივჩნობოდე სოფლის ორღობეში. მაღალი ქალები, დადლიონი აგვისტოს მცხუნვარე მზით, ეზოს კარებს სიხარულით მიღებენ და მიკონიან ვერცხლისფერ თმებს. მე კი ერთი ეზოდან მივჩნობოდე მეორეში, დამკნარ ვევილებს სივრილედ გუსახლდები მოწყენილ ღეროში. მე რე ჩავალ სოფლის ბოლოში და ჩავჩემდები გახარებული...

\* \* \*  
ვეება მზესუმზირას ყვავილი მოვარე გაზაფხულს და გადავმალე მაღალ სურამში... ახლა, ამ გადარეულ თოვამში, შენსკენ მოვრიბვარ, აწვდილი ხელით ბრიალა მზესუმზირის ყვავილი მიჭირავს, – აჰა, მიიღე მარადი სიყვარულის ნიშნად.

\* \* \*  
ასე უსასო რამ შეგქმნა, მწვანე ბალახო, ჩემო სულო და ჩემო დაია, ნუ მიცქერ მავდრებელი თვალებით, გაცრეცილო იავ, დამცლია კალთა სიკეთით და ყელში მწარე ბურთები მეჩრება. განფენილ ტოტებით ასე რადა ვვრძობ მიწის და ზეცის ყველა სატკივარს, სანამ ვხმებოდე ასე, უფალო.

\* \* \*  
დღეს ნუ მომიკითხავ, დედა, თელები ზეიმს მართავენ ჩვენს ბებერ ტყეში... – არვინ ესწრებოდა თელების დღესასწაულს, დედი, მხოლოდ მე ვიჯექ ბებერ კუნძზე სამკაულივით. თელები ქარებს დასდევდნენ და

ჭრელ-ჭრულა ჩიტებს ერთმანეთს ესროდნენ, ვიცინოდა და გულით ვიხარებდი. სხვის ზეიმს კაცი უნდა დაეწროს, დედა.

\* \* \*  
ჩავდექ კარებში და მზე არ გავუშვი ოთახიდან, მან სიხარული თეთრ წიწილასავით შემომაფრინა გულზე. დედა, შემიხანე ეს დღე, ძველი კარადის უკან გადაიმძალე, მაშინ მოვიხილავ მას, როცა ღამის ფრინველები ჩემს ზეცას გადაუფრენენ.

\* \* \*  
სოფლის სიჩუმეში აურაცხელ განმს წავაწყდი, წინაპართაგან გადანახულს, ბექობზე შეგდექე გახარებული და გოგო ბიჭებს გადავძახე. მსწრაფლ ავიყო ბავშვებით ეზო. ჟრიაბულით შემომეჯარნენ – შენ აბჯარი, შენ ანბანი, შენაც სიკეთე, შენ სიღამაზე, თავდადება, სიყვარული და სათნოება დანაწილეო! გადაუფრინე ბავშვებს საღარო... იმ ღამეს ისე მშვიდად მეძინა,

არ მოუხატავს თვალებს სიზმარი!  
\* \* \*  
გვიანი შემოდგომაა ზანტად წვიმს, ავერ, ძველი სახლის რიკულებიანი აივნის ქვეშ, მაღალი გოგოსათვის ამხადებენ მზითვს. მოიყვანეს მარჯვე ხარებზემბული ურემი, დაუდეს სპილენძის ქვაბი და თუნგი, გობი და საჩენელი, ძველისძველი ფარდაგი, ხატები და ათასი თავმოსაწონი ნივთი. ყველაფრის წინ, ანთებული სანთელივით ჩაადგეს ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი“.

ურემზე დასვეს თეთრი ფიქრიანი დედოფალი. თვალები უფროსის ლომებევით მშების მზერას, მსხვილი ნაწნავები ეფარება მხრებს. ურემი მძიმედ მიჭრიალებს, მაყრონი – ხუთიოდ ქალი და კაცი მიჰყვება უცხო გზებს.


\* \* \*  
ასე იყო მუდამ: ველზე იწვა თეთრი მხედარი და თეთრი მერანი, ან იწვა თეთრი მხედარი და ტიროდა თეთრი მერანი, რა უნდა ცირკის არენაზე ცხენს?



\* \* \*  
გამოვიტირე ბოლონის მთვარე, მღვიმე ვარძიის, ზელანის კალია, ღამაზ წუთებს მარადისობის ქვაბებში ვტენი... მე რე მოვალ მილეული, მსუბუქი, როგორც ჩრდილი, მოგონებათა ქვაბებიდან, როგორც ძველი სიკვირიდან, ბავშვობის კაბებს, მშვენიერ წუთებს ამოვალავებ.

# ქეძალ ლოჭოქეინიძე

## უსაქართველოდ არ მწამს ქართველი



მე ამ მთებიდან მამულს ვუგალობ, როგორც სხვებს, ისე მეც ძლიერ მიჭირს. შენ გევედრები, მომეც, უფალო, გაუსაძლისის გაძლებების ნიჭი!

ღვინიან ღოჭთან მწნილი და მჭადი, ჩაუქრობელი წინაპრის კერა, როს კრიმანჭული კვამლთან ცად აღის, იქ ჩემს ოცნებებს სამოსს უკერავს.

მიწას შიშველი ტერფებით ვათბობ, ვნამაც ცრემლებით, სისხლით და ოფლით, თუნდ მომერიო, მტერო, ვერ დავთმობ მამულს, არც ბაბად გიწამებ სოფლის!

მე წერა-კითხვა მიწამ მასწავლა, წერა: ხვნა-თესვა, კითხვა: მკა-რთველი, ბიჯს არ მოვიცვლი, აქ მსურს ჩანავლა, უსაქართველოდ არ მწამს ქართველი!

სოფლის დაფიდან ჯერ ვერ გადამშლი, ჯიუტი ვარ და ბედს ვეურჩები, ოთხი შვილი მყავს: წყვილი ქალ-ვაჟი, სხვამც შეუყენოს ციხეს ბურჯები!

მაღალ მთებიდან მამულს ვუგალობ, როგორც სხვებს, ისე მეც ძლიერ მიჭირს, შთავგაგონე და მოგვეც, უფალო, გაუსაძლისის გაძლებების ნიჭი!

## ერთი მზე გვათბობს ყველას

ჩემო ტაო და კლარჯეთო, ოჰ, როგორ მენატრებით, უთქვენოდ დავიტანჯეთო, ძილშიაც გვესიზმრები.

გურჯი ნენეთა ნანიანა, მღერა ლამაზი ლაზის, გულებში დაგამალვინათ დრომ ტრფობა ჯვრის და ვაზის.

დრო შეიცვალა ახლა და დაგვიძმობილდი, თურქო,

დრომ ბნელეთს ფარდა ახადა, ერთმანეთს რომ გაუვოთ.

თურქმა ისწავლოს ქართული, თურქულს ჩვენც შევისწავლით, რომ ვიყოთ წელგამართული, ვსვათ წმინდა წყაროს წყალი.

ყველასთვის წყარო ერთია, ერთი მზე გვათბობს ყველას, ერთადერთიც ხომ ღმერთია, მისგან მოველით შევლას.

## იქ, მთებში ჩემი სახლია

იქ, მთებში ჩემი სახლია, ქრის ზენაი და ქვენაი, ქარო, მიაბზე, რასა იქმს ჩემი საბრალო ნენაი?

შვილებზე დარდით დამდნარი, ქმარზე ცრემლებით ღენაი, ჩემს უბედობით გულმკვდარი, რომ ვერ ამოთქვამს ენაი!

სიღარბაილით განთქმულმა, მასწავლა ჭირთა თმენაი, სიტყვის და ლექსის ბერდელა, პოეტის აღმაფრენაი.

იქ, მთებში ჩემი სახლია, ნათელი, როგორც რწმენაი, მივალ და გულში ჩამიკრავს სულზე უტკბესი ნენაი.

## იის გორადან მოვდივარ

იის გორადან მოვდივარ, არც უშნო და არც ართვალი, ლოთი ვარ, ლორდი როდი ვარ, ქართული ლექსით ვარ მთვრალი.

ვარდ-ყვავილს, როგორც ხალიჩებს, ქარი გზად ფეხქვეშ გამიგებს, თუ მეცხრე ცამდე ვაბიჯებ, გამგები, ვიცი, გამიგებს.

მზე მომაქვს, განა გულია, მკერდიდან შუქად იღვრება ჩემი გიჟმაჟი გურია, ჩემი ლექსი და სიმღერა.

იის გორადან მოვდივარ, ვით უფლის შემონათვალაი, ლოთი ვარ, მართლაც შფოთი ვარ, ქართული ლექსით დამთვრალი.

## არყის გამოსდისას თქმული

არყის ქვაბი ორთქლით მთვრალი, მოთუხთუხე რახიანი, მოდგა ღამე – ქვრივი ქალი, სავსე მთვარის სახიანი.


შეგრილებულს ვცეცხლავ წინწვერს, შემომინთო გულზე აღი, ქვრივზე მინდა დავქორწინდე, ამიხლება ნასიზმრალი!

ქვაბქვეშ ცეცხლი, ვერძობ, სულს ღაფავს, ჩამომთუთუქა ცრემლმა ღაწვი, მე კი არა, გიჟს დააბამს, ისეთი აქვს არაყს ჯაჭვი.

კვოცნი მთვარეს, ვხუჭავ თვალებს, ვაი, ჩემი ცოდვის ბრალი! მოვიმთვარე, მთვრალი მთვარე, ღამეც მთვრალი და მეც მთვრალი.

# ილია ჭაბაძიძე

## იფიქრე ჩემზე



მარტო ვარ, მღალავს დროის სიფითრე, ზამთრის ქარები ძარცვავენ ჭადრებს. წერილს არა გთხოვ, ჩემზე იფიქრე, ფიქრი მომივა წერილზე ადრე.

ნურც დამირეკავ, იფიქრე მხოლოდ, რადგან ახლო ვარ, მაგრამ ამავე დროს უკიდევანო სივრცეში ვცხოვრობ, უზგაკალოდ და უმისამართოდ.

ჩემთვის სათქმელი ჩემზე ფიქრს ანდე, შენი გულივით თბილს და ფოფინას,

იგი ადვილად მიპოვის სადმე, თუ სიყვარულის ფრთებით მოფრინავს.

ოკეანეთა და ცათა მიღმაც გულს მაძინევია შენი ნაჭდევია, რომ მოგენატრო და ფიქრით მიხმო, დაუფიქრებლად შენთან გავჩნდები.

და ერთად ვნახავთ დღეებს მზიანებს, რომელთაც ახლა ცალ-ცალკე ვეძებთ, ოღონდაც ფიქრს ნუ დამიგვიანებ, ძალიან ხშირად იფიქრე ჩემზე.

## დედა და დედა

გამოვეთხოვე და მიწას ვანდე ხელებს, რომლებიც პაწიას მზანდენ, მათი პატრონი ონავარ ყმაწვილს, „დედა ენას“ რომ მიშლიდა თვალწინ. ასე მაცნობდა სანათესაოდ – ორი დედა გყავს: მე და ესაო. ორი საწყისი ჩემი კაცობის

დამდეგდა ქვეყნის კიდითი კიდე. დღეს ორი დედის ძუძუნაწოვი პირველი დედის საფლავთან ვიდექ. იქ მიიცრემლა ცივმა სამარემ გამრჯე ხელები, სათნო ჭადარა. დავრჩი მერე დედის ამარა, პირველმა დედამ რომ შემავყარა.

## მგელი

ყვფენ და ყვფენ ეზოს ცუგები, დანაყრებულნი ვახშმის ნარჩენით, შორს კი ნადირობს ტყეში ძუ მგელი დამშეულ შვილთა გადასარჩენად.

გახედავს სოფელს და გვერდს აუვლის, ძაღლების ყფა-ყმუილი ისმის. მათ წინაშეც აქვს დანაშაული – რომ არ გაძაღლდა მათსავით ისიც.

და სწყევლის თავის წერასატანილ სიცოცხლეს, ტყვია რომ წაშლის ხვალ-ზეგ.

მოავონდება მოდგმა ადამის და ბრაზით ბეწვი ეშლება ყალყზე.

კრულვით იხსენებს იმ შორ წინაპარს, გულმორყვილს და კეთილს ბავშვივით, რემსა და რომულს რომ უწილადა ძუძუ საკუთარ ლეკვთა არჩივი.

ტყვიას ემსხვერპლნენ მამა-ბიძები, საით წავიდეს, რა ქნას, რომ შიამ? ამბობენ, რომში დგასო მგლის ძეგლი, მაგრამ მგელს ტყვია ელის რომშიაც.

## ი-ს

ბავშვობის გაზაფხულს ხსოვნიდან ვერ წაშლი, პირველ სიყვარულსაც ვერ წაშლი ხსოვნიდან. როდესაც ალუჩა გაეხვა ზეწარში, მე შენი უმანკო ღიმილი მომინდა.

სადა ხარ! ვინსენებ შენს ტუჩებს ვნებიანს და ვიცი, არ მელის სიმშვიდე დღეს და ხვალ... ხარ შვილიშვილების ლამაზი ბებია, თუ მხოლოდ შვილების ლამაზი დედა ხარ?

ბედნიერი გაქვს ცხოვრების შუადრე, თუ წლებმა ჩაგაიქრეს თვალებში მუხტები, ან ჩემი ლექსები შენამდე თუ აღწევს, ან როცა კითხულობ, ვისზეა თუ ხვდები.

რატომღაც მგონია, ეს ლექსი მოგძებნის, შემოგყრის ნაღველსაც და მოგვერის ღიმილსაც. სხვა რაღა! გვეფარავდნენ ცით ანგელოზები პოეტს სიყვარულში იღბალი ვინ მისცა!

## მთვარის ღიმილი

წუხანდელ ღამეს დილასისხამზე ვინსენებ. სავსე სახე უჩანდა. ასეთი მთვარე და ისიც ღამით ვინ გამოუშვა გარეთ უჩადროდ! და ამ დროს გული როგორ გაგიძღვებს. – შემოდ! – ვთხოვე მსგავსად მავანთა, მაგრამ წავიდა ჩემი ღამის მზე, მხოლოდ ღიმილი შემომანათა. ახლა იმ ერთი ღიმილის გამო, ყოფნაზე ერთი ყოფნით მეტი ვარ. ალიონია მართლაც საამო, ღამაზე ქალის კომპლიმენტით.

## მეტეორი

კიდევ უფრო თამამად, კიდევ უფრო ფრთავაშლით სივრცეებში იქროლე, სულო თავისუფალო. მეტეორი მიწისკენ როცა მოქრის, კაშკაშებს, თორემ მერე კენჭია, უსხივო და უბრალო. უმომრალი მნათობნი შეგნატრიან შორიდან, იკაშკაშე შენ შენთვის, მათ ინათონ თავის წილ. მეტეორო, არ იქცე ციციქნა მეტეორიტად, იქროლე და მიწაზე დაშვებამდე დაიწვი.



# ძველი ჩაფაძე- ქანთარია

## ნუთუ საქართველო თარაშ მძებარია?!

ენგურს ვინ გავა გაზაფხულზე აპრილის  
თვეში?!

მთვარის ციაგი ირეკლება თარაშის თმებში  
და ურჩხულისებრ იგრავენება მდინარე  
შმაგი,

ნატრულზე წუხილს გაუფანტავს ჩვეული  
ღარდი.

ოო! ბედისწერის მზაკვრული სასწაული!  
ოო! მის «გამხმარ ხელისგან თავს ვინ  
დაიხსნის!»



ნაპირზე ვედარ გავა ემზვარის ჯიში,  
მებორნე გადარჩება, რაინდს არ იხსნის.

ნუთუ საქართველო ახლა თარაშია,  
თუ ეს ყველაფერი ბედის თამაშია?  
მტერი ენგურივით ისევ ძლიერია,  
ლამის წაუღეკავს ქართველი ერია.

ნეტავ რას ფიქრობდა მაშინ კონსტანტინე,  
როცა თარაში ენგურს გაატანა?  
ხომ არ დაიტირა მაშინ აფხაზეთი?  
არც რა დაიბარა ვაი ნანა! ნანა!

### მე პირჩევნია

სამყაროს ყველა მდიდრულ სალოცავს,  
მოჩუქურთმებულს ძვირფასი ქვებით,  
მე პირჩევნია გადათელილი,  
ჩემი მამულის საყდარი ძველი,  
ფრესკის მაცხოვრის გადაღებლით,  
იმ ერთმორწმუნე «მოყვასის» ხელით.

სხვის ცათამბჯენებს მე პირჩევნია  
გურული ოდა, ბოკონზე მდგარი,  
შეკირწყლულ ბუხრით, ზედ ვაზის ჯვარით,  
წნელის ღობით და შიგ ტყემლის ჯვარით.

ზღვა მელოდებს უცხო ქვეყნისა,  
თუნდ იფრქვიოდეს «ვარსკვლავთა» ხმები,  
მე ლილეო პირჩევნია ჩემი

ერთად მღერიან ხალხი და მთები.  
დაიბერტყავენ მხრებს ამ სიმღერით,  
გადაიწმენდენ გულზე ზვაშიადს,  
მერე დღედაღამ იგუგუნებენ,  
ხმები მისწვდება ღმერთსაც განთიადს.

ოქროს ფიალით მორთმულ შარბათს,  
(ქვეყნად რომ არის მოწონებული),  
მე პირჩევნია ვაზის ნაჟური,  
ჭურის თავიდან მოწოდებული.

თვით დიდებულთა ჭირში დადგომას  
და თანაგრძობობით მობჯენას თვალის,  
მამაპაპურად ხმით დატირება,  
მე პირჩევნია შავოსან ქალის.

### ზოგალი იყო მუშვიდე სახლსა ზმცისა

აღვირახსნილი ბედაურივით,  
ამ ჩემს მამულში ეშმა დაჰქროდა,  
ისმოდა ფლოქვის თქარათქური და  
ჩემი ქვეყანა ითელეოდა.

ეხვეწებოდა ღმერთს გადარჩენას,  
ღმერთს მფარველობას ეხვეწებოდა,  
მთაში ჰყვიროდა ენგური, თერგი,  
ქართველთა ცოდვას თურმე ჰყვიროდა.

«ცა მოსილიყო ნაბლოსანივით»,  
სინათლის სხივიც კი ვერ ძვრებოდა,  
ტყვეები წვიმდა ქაშუვეეთის თავზე,  
«მამა დავითიც» ვერას იქმოდა.

მტკვარი ნაჩვევი უბედურებას,  
არავც ნუგეშად ამას ეტყოდა  
მე უარესიც მინახავს დრონი,  
ქართველთა სისხლი რომ იღვრებოდა,

უწვეურულვამო მზეჭაბუკები,  
როგორც ჯეჯილი იცელებოდა.  
მონუსხულიყო სვეტიცხოველი,  
წმინდა სანთელიც ვედარ იწვოდა,

ქართველთა სისხლით ჩემი ტალღები,  
გაუთავებლად იღებებოდა,  
ნადგურდებოდა ქართული გენი,  
ქართული ჯიში ნადგურდებოდა.

ემშაკი ეჯდა თურმე გუმბათზე,  
ლოცვა ტამარსაც ვედარ სცდებოდა.  
გელათში იდგა დიდი წუხილი,  
მეფე დავითის საფლავი თრთოდა,

დგებოდა ჟამი ქართველთა სიბრძნის,  
ქართველთა შიშით ეშმაც ქრებოდა,  
ქრებოდა ფლოქვის თქარათქური და  
ჩემი ქვეყანა ფეხზე დგებოდა.

ზოგალი იყო მეშვიდე სახლსა,  
საფლავი ისევ და ისევ თრთოდა,  
ჯარიც რომ ეხმო და ქუდზე კაციც,  
ემშაკი მაინც თვისას იქმოდა.

დადგება დრო და დაგება ჟამი,  
ემშაკი ჩვენში ვერ ითარეშებს,  
მაშ, გამარჯვოს იმ მეფეს, იმ მტკვარს,  
ენგურს და არავც რომ ანუგეშებს.

### მე სილაგაზუს სიკვდილშიც ვეძებ

მე ყველაფერი ჩემული მაქვს:  
ფიქრი, წუხილი და სიხარულიც,  
მე ერთგულება სხვანაირი მწამს,  
და სილაგაზუს ვეძებ სხვანაირს.

შავით დაწინწკლულ გულს მაჩვენებენ,  
მომანათებენ ნაღვლიან თვალებს,  
ალბათ, ჩაესმით სისხლის ყვილი  
და მიწისაკენ დახრიან თავებს.

განა არ ვეტრფი ალისფერ ვარდებს,  
განა არ მიყვარს ქრიზანთემები,  
ყვიდულობ ტიტებს, იებს, მიხაკებს,  
მაგრამ სულ სხვაა ყაყაჩოები.

მე სილაგაზუს სიკვდილშიც ვეძებ,  
ცხოვრებას იგი გვირგვინად ადგას,  
როცა მოგვლეჯენ შშობელ მიწისგან,  
ფეხს დაადგამენ შენს წესს და ადათს,

სულ სხვანაირი სილაგაზუ აქვთ,  
საოცარია მათი ბიბინი,  
წამოიქროლებს მაისის სიო,  
გადაემლებათ ნაზად გვირგვინი.

მე პირჩევნია მაშინვე დაჰკენე  
ყაყაჩოსავით გამზრდელ მიწაზე,  
რომ არ გამყიდონ ყვაილებივით,  
ყვაილებივით ქვეყნის ბაზარზე.

# ძაღვი ლოლიანი ჩაფაძე

## დადიანის ქალი მქნა



დადიანის ქალი მქნა,  
თქვენ – ტერენტი გრანელი,  
უფსკრულიდან ოცნების  
გაცქეროდეთ ცის კიდეს...  
ეკლესიის ეზოში,  
მჯდარი განმარტობით  
ლამაზ ლექსებს მიძღვნიდით!  
მერე თრთოლვით მოხვიდით  
ჩემი სახლის კარებთან,  
გარეთ თმენით იცდიდეს

თქვენი ლურჯი კარეტა...  
გავგაქროლა სადღაც შორს,  
ლურჯი ზეცის უბეში  
გვწამდეს გაცისკარება,  
ჩვენეული ნუგეში.

დადიანის ქალი მქნა...  
თქვენ – ტერენტი გრანელი!

\* \* \*

მოხვალ და მომეფერები,  
იქნება ღამე გვიანი,  
არ მესსომება ტკივილი,  
დარდი და ბედის ტრიალი.

მოხვალ და მომეფერები,  
ჭადარიც თვალს მოგვარდებს,  
ვიცი, ბევრ ქარსა შეხვდები  
და ბევრსაც ავსა ამინდებს.

მოხვალ და მომეფერები,  
ქარი ჭორებით აგვიკლებს,  
მეც „უშფოთველად მოგკვდები“,  
თუ გულზე ხელეებს დამიკრეფ.

\* \* \*


ზღვამ ჩამიტანოს, მტრად ვიქცე თუნდაც,  
მტკვრში დამარხონ ცხელმა ქარებმა,  
რად მინდა ყოფნა ცის ქვეშეთში, რაღამ  
მასუნთქოს

თუ ერთმანეთი არ გვეყვარება?  
არც მზე მინდა და მთვარე მთოვარე,  
სიცოცხლე ჩემი უკუნ ღამეს დაედარება,  
არაი მინდა, არას ვიწამებ,

თუ ერთმანეთი არ გვეყვარება.  
სიძნელე დღეის გაასკვდება,  
იებს იებად ვერ ვიცნობ და ვარდებს ვარდე-  
ბად,  
უშმწარესი იქნება ყოფნა  
თუ ერთმანეთი არ გვეყვარება.

# ქემალ ჩეჩაყმაძე

## ჩემი კვირიკეთი



მოყვარეს ხვდება თავაზით,  
მტრისათვის კბილისმკვეთია,  
დედაჩემივით ლამაზი –  
ეს ჩემი კვირიკეთია.

მოხუცს მამხნეებს, მახარებს,  
ბავშვს რულუნებით მივლიდა,  
ვენაცვალე ამ საძვალეს  
კვირიკესი და ივლიტას.

თავისუფალი უღლისგან,  
დამმარცხებელი ურჩხულის,  
კურთხეულია უფლისგან  
ამ სოფლის კუთხე-კუნჭული.

მოყვრის მიმღები თავაზით,  
დუშნანის კბილის მკვეთია,  
ჩემს ნენასავით ლამაზი  
ერთია – კვირიკეთია!

### ჭადარი

ქვეყნად უამრავი ხეა, ერთმანეთის სადარი,  
მე კი ყველას მირჩევნია ჩემი სოფლის ჭადარი,  
ჭარმაგია და მაინც დგას, ფესვები აქვს მაგარი,  
ამდენ ჭირ-ვარამის მომსწრე სხვა ხე არსად არ არი.


გვერდს უმშვენებს, მადლით მოსავს, – ერთობა აქვთ სხვაგვარი, –  
სხივანათელი უფლის სახლი – საოცნებო ტამარი,  
საიდუმლოს ერთად ფლობს ორნივე ყველას მფარველი,  
უამრავი სიკეთის და ბოროტების მნახველი.

როცა მწუხრის დღე დადგება, ხე შეიცვლის სამოსელს,  
თითქოს წელში იზნიქება, ფოთლებს ცრემლი ჩამოსდევს,  
მიცვალებულს ერთად ვტირით, – ამ დროს კურცხალს რა მოღვეს?! –  
მივაცილებთ სულცხონებულს სამუდამო სამყოფელს.

სამწუხაროდ, ზოგჯერ ჩარხი ბედუკულმა ტრიალებს,  
ყველა ვკვდებით, ჭადარი კი ვაუკაცურად შრიალებს.  
ჭარმაგია და მაინც დგას, ფესვები აქვს მაგარი,  
ამდენ ჭირ-ვარამის მომსწრე სხვა ხე არსად არ არი.

# თქმის მაძინიძვილი

## გურია არ არშინობდა



მე ვფიქრობდი, შენ ფიქრობდი, ის ფიქრობდა, მე მივქროდი, შენ მიჰქროდი, ის მიჰქროდა, მე მიმქონდა, შენ მიგქონდა, მას მიჰქონდა, სამივე პირს გურიაში რა გვინდობდა?!

აქ კრიმინალს, კაცთან ერთად, ცაც ჰყოფდა, მთვარესავით სავსე იყო წაბლის ოდა, აქ არასდროს სიძურველი არ იშობდა, აქ იყო და სიყვარული არის მოლა!

ნაკვერჩხალი თუ ღვივოდა, აქ ღვივოდა, მიწას – ცხელ მჭადს ონშივარი ასდიოდა, აქ მზეები ბრდღვივებდნენ, არ ბინდობდა ღუნია და მასპინძელიც არ გვინდობდა...

ოუმორად რაკრაკობდა, არშიყობდა, ამ საქმეში თავს ხანდახან შარშიც ყოფდა. მსოფლიოში სულ მშვიდობას დარაჯობდა, სულ იცოდა, სად რა ხდება და რა ვობდა.

მობრძანდითო, ფაციფუცით, – რაც რომ ჰქონდა, – გადამთიელ სტუმრისთვისაც გამოჰქონდა, ხვალ რა ვქნაო? – არასოდეს არ შინობდა, მეტრი იყო, გურია არ არშინობდა!

მე ვფიქრობდი, შენ ფიქრობდი, ის ფიქრობდა, მე მიმქონდა, შენ მიგქონდა, მას მიჰქონდა, მე მივქროდი, შენ მიჰქროდი, ის მიჰქროდა გურიაში, აი, თურმე რა გვინდობდა!

ყველა დროსა და სივრცეში თვალჩინობდა, ბრძენი იყო, მერე რა, რომ ხან ცივობდა?! არავისთან არაფერზე არ შინობდა, მეტრი იყო, არასოდეს არშინობდა!

## ბიბლიოთეკაში

ჩემგან ორიოდე მეტრში ეგზიუპერს ქალი შლის. როგორ მინდა, მსხვერპლი ვიყო მისი თითის ქარიშხლის.

დავბერდი და ეგ ოხერი თვალი მაინც არ იშლის, ჩუმად თირავს დასათირავს და საღერღელს ამიშლის.

ქალი ფეხზე წამოდგება, წავა, დალაღს გაიშლის. წამიც, დიდ მშვენიერებას ისევ წამი წამიშლის...

ჩემგან ორიოდე მეტრში ეგზიუპერს არვინ შლის. ფურცლის შემშურს, მსხვერპლი იყო ქალის თითის ქარიშხლის.

## კაღლი ყეფს და ქარაგანი მიდის

ძალი ყეფს და ქარაგანი მიდის... წუთისოფელს ფერი ადევს ბინდის, რომ მეგონა, მთელია და წინ დის, გაქცეულა, როგორც თვალი წინდის.


არც ისე შორს... თბილისსა თუ შინდისს ბოტკინი სჭირთ ცრუ ყვაველებს შინდის... კაცმა, – ოდეს მიემალა სინდიფს, – ტყუბად წიხლი უთავაზა სინდისს.

ჰკვივის სხვი გაბზარული ლინზის – ქუდზე კაცი! არა, ყველა შინ ზის... სოფელს, კვალი რომ ატყვია ნინდის, აღარ შერჩა დამთესავი ქინდის.

ძალი ყეფს და ქარაგანი მიდის... გადაყვევით მღერას „ინდი-მინდის“... და გგონიათ, გამთელდება? წინ დის გაქცეული თვალი ძველი წინდის...

# ოცია ცოპაიძე

## საქართველოს გადასარჩენად



ვხედავ, მოდიან საქართველოს გადასარჩენად: ათი პაატა, ოცი ნინო, ასი დავითი, მე სიკვდილამდე დაველოდები და როცა მოვლენ, კოცნით დავითვლი.

ელთი სამშობლოც – ასგზის ვვარცმული, ღმერთო – მიშველე, ახლაც ტანჯული, ველით სუყველა, გადავარჩინოთ: ჩვენი დელული, ჩვენი მამული.

ოცდახუთწლიან შავბნელ ცხოვრებას მივცეთ როგორმე ახლის იერი, თავისუფლებას გავუხსნათ კარი, რომ ჰქონდეს ყოფა ერს ბედნიერი.

რიბირაბოა, მზეს და სინათლეს დაბადებს მალე ცა მშობიარე, მთის წვერზე ვღვავარ, ეს უნდა ნახო, ამ სილამაზეს ვერ მოიზარებ...

არწივს ვერ ვხედავ, ვგრძნობ, რომ აქვია, ლაყვარლებიდან ჟონავს სინათლე,

მკრთალი ხარ, როგორც სურების მთვარე, დაგინახე და უცებ გიცანი, არ გენატრება მშობელი მხარე, სუფსის დინება – ტალღა მცინარი?..

ვცხოვრობ, მწვერვალზე ავდივარ თითქოს და თითო წელი თითო კიბეა, სამოცდახუთი შემომხვდა უკვე, წლები სიბერის გადამკიდეა...

და რაც დრო გადის, სამშობლო ტკება, მტერი მწარდება – მით უარესი. ვისხენებ წარსულს – ხელისუფლება დაღვრილი სისხლი უმხურვალესი.

წუთი წუთს მისდევს უნდოდ და ზანტად, ჩავაცვათ ღლებს ნდობის ფარავა და დავდგეთ ყველა გაქვავებამდე ბედკრულ სამშობლოს ერთგულ დარაჯად.

მაღლი გეფენია ქართული მიწის, მტერი ვერასდროს ვერ დაგვამარცხებს, გამარჯვებული მივეახლებით დიდ წინაპართა ძვირფას სამარხებს.

ვხედავ, მოდიან საქართველოს გადასარჩენად: ათი პაატა, ოცი ნინო, ასი დავითი, მე სიკვდილამდე დაველოდები და როცა მოვლენ, კოცნით დავითვლი.

\* \* \*

ღმერთო, მიეცი მამულს ყოველი, რაც მე წუხელი მისთვის ვინატრე...

ასიათასი გვირილის ფერმა გადაირბინა ყვითლად ველებზე, ასე მოვიდა ჩემს გურიაში ვერ განთიადი, დილა – მერე მზე.

\* \* \*

ტყეს ასსოვს ჩვენი ნაფეხურები, გეძებს მთის ია – შენი საყურე, მარტოა ახლა ცასთან სოფელი, გაუხარდება, მოინახულე.

\* \* \*

რად გინდა წლები, სიცოცხლე თუნდაც, ეს ყველაფერი თუ არ გაწუხებს, სამაჩაბლოს და აფხაზეთს ახლა განვიცდი, როგორც მშანთავ მარწუხებს...

და ბოლოს მაინც იმედი არის, მწვერვალზე დროშა აფრიალდება და შემომხვდება კიბეზე საღლაც მე საქართველოს გამთლიანება.

\*\*\*

მე გალაქტიკას შევუყვები ისევ აღმართში, რადგან ვნებებმა ჩემი სახე უნდა დაფლითონ.

მე ვევედრები გამჩენს, დამჩენს და მაცოცხლებელს, რომ სიკვდილის წინ ერთი კოცნა წამომაწიოს.

\*\*\*


მე ბარბაროსიც რომ მიწოდონ, ამას ვიტყვი: არ მწამს ლექსები, ურიტომოდ რომ სტრიქონს ელიან. თუკი სამშობლო შენში არის, როგორც ბერძენა, მაშინ სიცოცხლე სიცოცხლეზე უკეთესია

# ზეზვა ყურიელი

## სანთელი – სიცოცხლე

სანთელი იწვის, როგორც სიცოცხლე, სიცოცხლე მართლაც სანთელს წააგავს, იწვის და მიაქვს ლამაზი წლები, მოგონებები რჩება პატარა.

„მოგონებები გარდასულ ღღეთა“, რა დამავიწყებს ჩემს ბავშვურ ცრემლებს – ჩემს ლამაზ სოფელს და სიყრმის ხანას, ვერ დავივიწყებ, მას შემოვივლე.



ახლა იწვება ახალი ერა, ჩემი სიცოცხლის, ჩემი ცხოვრების, და გვედრებით, ისევ ანთეთ სანთელი ჩემი ამოვების.

\* \* \*

მე პოეზია ისე მწვავს ახლა, როგორც ქეთევანს წვავდნენ შანთებით, უპოეზიოდ კაცად არ ვვარგვარ, უპოეზიოდ დავიტანჯები.

**სარედაქციო კოლეგია: ჯემალ დოგორჯიანი, მალაქია თორიძე, მამული კვაჭაძე-მანთარია, ილია ბარაშიძე, ოტია ტრაპაძე, ჯემალ კეჭაძე, რედაქტორი: თამარ მარუანიშვილი**

### მილოცვა

**ქალბატონ ბაბუცა აბრამალაძეს**  
**ბამარჯობა, დედი! – ასე მსალმები უმე**  
**ყველას დიდი სიყვარულით და ახლა მაც**  
**ასე მოგმსალმები.**  
**მინდა, მოგილოცო 93-ის უმსრულეპა.**  
**დრო სწრაფად გადის და უმენი დაბადების**  
**100 წლის იუბილემ არ არის კალიან შორს.**  
**გაშინ იპითხე უმენი უვილების,**  
**უვილიუვილების, უვილთაუვილების თუ**  
**მთელი საახლობლოს უსაზღვრო ბედნიერება**  
**და სიხარული.**  
**ღმერთმა ინებოს, ასეც მოხდეს.**  
**კატივისცემით,**  
**ბულსუნდა მახარაძე.**

## ვინ გადაარჩინებინებს ქალბატონს „კრაოტს“?

ეს ამბავი ოზურგეთი-ანას-  
 ეულის სამარშრუტო მიკროავტ-  
 ობუსში რამდენიმე დღის წინ  
 მოვისმინე. ერთი ხანშიშესული,  
 ქვედაუბნელი ქალბატონი მძლო-  
 ლს უყვებოდა:  
 „ძველ ამბავს გიჩივი, მაშინ  
 ივანაშვილის (სტილი დაცულია)  
 მთავრობა ახალმოსული იყო.  
 ერთოთხიანში ვცხოვრობდი და  
 ვცხოვრობ. წვიმის დროს წყალი  
 ჩამომდიოდა. ჩვევდი ოზურგეთში  
 და პარლამენტის დეპუტატს  
 ვთხოვე, დაემხმარეთ, სადაც ვწვე-  
 ბი, იქნებ კი წყალი ჩამომდის-  
 მეთქი.  
 – გააჩოჩე „კრაოტი“, გამეზუმ-  
 რა.



რა მეზუმრებოდა, მარა, შევატყვე  
 მეთი ვეფერით დამეხმარებოდა და  
 ასეც მოვიქცევი, შემოსასვლელ  
 კარებამდე მივაგორე ჩემი რკინის  
 ლოგინი. მერე ის ადგილი მეზო-  
 ბელმა შემიკეთა ჟანგიანი „ჯე-  
 შტით“. ახლა კარებთან უვლის,  
 ძალა აღარ მაქ, აღარც ის მეზო-  
 ბელია სახში, ამიზა უნდა ჩვევდე  
 და ახალს ვთხოვო, იქნება ვინმე  
 დამახმაროს „კრაოტის“ ძველ  
 ადგილზე გადაჩოჩებაში“.

### კველი ოზურგეთის ქრონიკები

## ნაშრომი განკად დარჩების...



#### ციხის გულანი

ციხის გულანის შესახებ დიმიტრი  
 ბაქრაძე გადმოგვცემს: „ციხის  
 გულანი ისეთივე ფორმატისაა, რო-  
 გორიც შემოქმედისა. კვინკლოსი  
 აღარ გაანია, მაგრამ ალაგ-ალაგ მას  
 აქვს მინაწერები, რომლებიც გვიხსენ-  
 იან მისი შექმნის ისტორიასა და  
 დროს და ამავე დროს აღნიშნავენ,  
 ვისი ბრძანებით და ვინ გადაწერა.  
 ეს მინაწერებია:  
 „აღწერა ნაკაშიძის ბეჟანის ბრძ-  
 ანებით;  
 ღმერთო, დაიცვენ ნაკაშიძე ბეჟან,  
 მეუღლე მისი თეთრუა ნიჟარაძის  
 ქალი, მე მისი ვიორგი და მამუკა, პა-  
 ტარა მისი ხვაზანია გაუზარდე. ღმ-  
 ერთო და ამ გულანის მადლი, მო-  
 ისხენე შენსა ზეცისა სასუფეველსა  
 ნაკაშიძე ვიორგი, ამ გულანის აღ-  
 ასრულებული და მეუღლე მისი ერ-  
 ისთავის ასული ზილიხან.“  
 „მე ცოდვილმან ტუსკია იოსებ  
 გადმოწერე ამ გულანიდან აღდგო-  
 მის, ამაღლების, სული წმინდის  
 მოსვლის და ფერისცვალების მეტ-  
 აფრაზში ბრძანებითა გურიელის მა-  
 მისითა... სახელითა ღვთისათა და  
 ყოველთა წმინდანთა ღვთისათა მე  
 ცოდვილმან მღვდელმან საბაი ხე-  
 ლყავ პატიოსნისა გულანის ამის  
 აღწერა ბრძანებითა პატრონის ნაკა-  
 შიძის ბეჟანისათანა და პირმშოსა  
 ძისა მისისა ვიორგისათა ესე წმინ-  
 და პატიოსანი სრული გულანი ჩემი  
 ცოდვილი ხელით დამიწერია... ამის  
 წერაშიდ ჯუმათის გულანი გავაკეთე  
 მე და ჩემმა თაბუნმა, კიდევ ღმე-  
 რთების გულანი ჩავიგდე ხელთ, მა-  
 რტომ გავაკეთე ისიც, თვრამეტ  
 წელიწადს განკარგულე...“  
 დიმიტრი ბაქრაძე განაგრძობს: „ჩე-  
 მი სიგელ-გუჯრებით ჩანს, რომ

ვიორგი ნაკაშიძე, ალბათ წარწერითა  
 და მინაწერით ნახსენები, მამია III და  
 ვიორგი IV გურიელების დროს  
 ცხოვრობდნენ, ხოლო ბეჟანის მე  
 ვიორგი - მამია IV დროს, როცა პი-  
 რველად გამოჩნდება იოსებ ტუსკია,  
 ჩვენთვის ცნობილი დამარსებული და  
 პირველი წინამძღვარი-გურიის უდაბ-  
 ნოს მონასტრისა და მის დროს  
 გადაიწერა შემოქმედის გულანი, რო-  
 ძელიც, უეჭველია, იგივეა, ამ მი-  
 ნაწერში მაცხოვრისად, რომ არის  
 წოდებული, ყოველ შემთხვევაში  
 მღვდელი საბა შემოქმედის გულანის  
 მინაწერებში დასახელებულია ამ  
 უკანასკნელის გადმოწერად. ჯუმათის  
 გულანი აღარ არსებობს და მის  
 არსებობაზე მე არაფერი მსმენია...  
 მოყვანილი ფაქტებიდან უნდა და-  
 ვასკვნა, რომ ციხის წარწერათა  
 პირნი იგივენი არიან, რომლებზეც  
 მოგვიხრობს ციხის გულანის მინაწ-  
 ერები, და რომ ისინი ცხოვრობდნენ  
 XVII საუკუნის პირველ ნახევარში  
 და რომ ბოლოს, ციხის გულანი  
 შემოქმედისაზე აღინდელია“. (დაბაქ-  
 რაძე, იქვე, გვ. 230).

ციხის გულანის შესახებ პროფე-  
 სორი ოლა სოსელია აღნიშნავს:  
 „ნაკაშიძეთა ადგილსამყოფი ციხის-  
 ვერდი იყო არა მარტო სათავადოს  
 ადმინისტრაციული ცენტრი, არამედ  
 აქ კულტურულ-საგანმანათლებლო  
 საქმიანობაც წარმოებდა. ბეჟან ნა-  
 კაშიძისა და მისი მემკვიდრის ვიო-  
 რგის დროს (XVII ს. მეორე ნახე-  
 ვარი მომდევნო საუკუნის პირველი  
 ნახევარი) ციხისვერდში, ნაკაშიძეთა  
 საგვარეულო ეკლესიაში სამწერლო  
 მოღვაწეობა იყო განაღებული. ხს-  
 ენებულ პირთა „ბრძანებით“ „აღწ-  
 ერა“ არა მღვდელმა საბამ „სრული  
 გულანი“, რომელიც ლიტერატურაში

ცნობილია: „ციხის გულანის“ სახ-  
 ელით.“ (ოლა სოსელია“ ნარკვევე-  
 ბი ფეოდალური ხანის დასავლეთ  
 საქართველოს სოციალ-პოლიტიკური  
 ისტორიიდან“ თბ. 1981 წ. გვ. 166-167).  
 შალვა ამირანაშვილის აზრით:  
 „დასავლეთ საქართველოში XVII სა-  
 უკუნის პირველ ნახევარში ციხეში  
 (გულანი) დადასტურებული იქნა  
 გულანის ხელნაწერი. მინიატურებს  
 და განსაკუთრებით დეკორს, დასა-  
 ვლეთ ვერობის ხელოვნების ძლიერი  
 გავლენის ნიშნები ეტყობა... როგორც  
 ჩანს, ამ ხელნაწერის ილუსტრაციებ-  
 მა ორიგინალური როლი შეასრუ-  
 ლეს 1749 წელს შემოქმედში გადაწ-  
 ერილი გულანისათვის“. (შალვა ამირ-  
 ანაშვილი, „ქართული ხელოვნების  
 ისტორია“, თბ. 1971 წ. გვ. 393).

**უდაბნოს მრავალთავი**  
 მეცნიერთა აზრით: გურიის სავანე  
 ქართული კულტურის კერა იყო.  
 მონასტრში იწერებოდა სასული-  
 ერო ხასიათის ლიტერატურა. ითა-  
 რგნებოდა საღმრთო წიგნები და  
 მიმდინარეობდა ხელნაწერთა გადაწ-  
 ერა გადაბრუნება. აქ მოღვაწეობ-  
 დნენ ცნობილი კალიგრაფები. მონას-  
 ტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი  
 იოსებ ტუსკია იყო შემოქმედის  
 გულანის ერთ-ერთი გადაწერი. წმ-  
 ინდა იოანე ნათლისმცემლის უდაბნო  
 მდიდარი მონასტერი იყო, ჰქონდა  
 მდიდარი წიგნთსაცავი, სადაც ძველი  
 ქართული ხელნაწერები ინახებო-  
 და. 1920 წელს აკაკი შანიძემ აქ  
 აღმოაჩინა და ბერებისაგან აღებული  
 თანხმობის შემდეგ თბილისში ჩაი-  
 ტანა მრავალთავი, რომელიც ამჟამად  
 ცნობილია უდაბნოს მრავალთავის  
 სახელით (მრავალთავი სხვადასხვა  
 ხასიათის თხზულებათა კრებულს  
 ეწოდება. უდაბნოს მრავალთავი  
 ბედად გადაურჩა განადგურებას. მისი  
 გადაწერის ზუსტი თარიღი უცნობია,  
 მაგრამ პალეოგრაფიული ნიშნების  
 მიხედვით IX საუკუნეს ეკუთვნის და  
 თავისი სიძველით სინურ მრავა-  
 ლთავს მხარს უმშენებს.  
 პირველი ცნობა უდაბნოს მრავ-  
 ალთავის შესახებ ეკუთვნის ისტო-  
 რიკოსს დიმიტრი ბაქრაძეს, რომელ-  
 მაც 1873 წელს იმოგზაურა გურიასა  
 და აჭარაში. უდაბნოს მონასტერში  
 მას უნახავს ძველი ხელნაწერების  
 ბიბლიოთეკა, რომელთა შორის ყოფი-  
 ლა სახარება იოანე ოქროპირის  
 თარგმანები და მეტაფრაზი, ანუ  
 წმინდანთა ცხოვრება. ორივე ხელ-

ნაწერი იყო მაღალხარისხიანი,  
 სქელ ეტრატზე შესრულებული  
 .ხელნაწერები ძალიან ძველი აღმო-  
 ჩნდა, მათი გადაწერის ზუსტი თარი-  
 ლის დადგენა მეცნიერებმა ვერ შე-  
 ძღეს. ერთერთი საინტერესო ხელ-  
 ნაწერი, რომელიც დიმიტრი ბაქრაძემ  
 აღმოაჩინა იყო უდაბნოს 29 გუჯრის  
 კრებული. მათში ჩამოთვლილია გურ-  
 იელების, ერისთავების და სხვა  
 სამღვდელთა თუ ერისკაცთა შეწი-  
 რული უდაბნოსადმი.  
 ზურაბ ჭუმბურიძე წიგნში „  
 ქართული ხელნაწერების კვლედე-  
 ვალ“ გადმოგვცემს: „... მეორე ხელ-  
 ნაწერი, რომელსაც დაბაქრაძე მეტა-  
 ფრაზის, ანუ წმინდანთა სახელით  
 იხსენებს, გახლავთ სწორედ ჩვენი  
 მრავალთავი. ის გურიასში შატბედ-  
 იდან უნდა იყოს გადმოტანილი, იმ  
 ხანებში, როცა ტაო-კლარჯეთში  
 თურქები გაბატონდნენ და იქაური  
 ეკლესია-მონასტრები აიკლეს. გავი-  
 ხსენოთ ნიკოლაოს ჯუმათელის ანდ-  
 ერძი, მინაწერი აღიშის ოთხთავზე,  
 სადაც ნათქვამია, რომ ეს სახარება  
 და აგრეთვე სხვა წმიდა წიგნები-  
 მრავალთავი, ხელთკანონი, მამათა  
 წიგნი და კითხვა-მიგება-კლარჯე-  
 თიდან წამოვიდოდა, საცხებით შესა-  
 ძღებელია, რომ ნიკოლაოს ჯუმა-  
 თელის მიერ ნახსენები მრავალთავი  
 სწორედ ჩვენი ხელნაწერი იყოს“  
 (ზურაბ ჭუმბურიძე „ქართული ხელ-  
 ნაწერების კვლედევალი“, 1983 წ. გვ.  
 156).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს  
 ხელნაწერი 1920 წელს გურიის  
 უდაბნოდან ჩამოიტანა და მუზეუმს  
 გადასცა პროფ. აკაკი შანიძემ, მანვე  
 1923 წელს გრენის კოლეჯში  
 მიაგო უდაბნოს მრავალთავის ერთ  
 რეკულს (8 ფურცელი), რომელის  
 ასევე შეუერთეს ძირითად ხელნაწ-  
 ერს. იმავე წელს აკაკი შანიძეს  
 გამოუვლენია უდაბნოს მრავალთავის  
 კიდევ ერთი ფურცელი, რომელიც  
 უცნობი გზით მოხვედრილა წიგნ-  
 თსაცავში და ცალკე ნომრით ყოფი-  
 ლა გატარებული. ადრე ისტორიკოს  
 თედო ჟორდანიას გადაურჩენია  
 უდაბნოს მრავალთავის ერთი ფუ-  
 რცელი, რასაც გვაუწყებს ზედვე  
 ფანქრით გაკეთებული მინაწერი: „  
 1890 წელს ეს ნაწილები ოზურ-  
 გეთში შაგირდებს (მოწაფეებს)  
 ჰქონდათ ყდისათვის, შემოქმედიდან  
 მოეტანათ. გამოვართვი მათე საუკუ-  
 ნის ხელია, დიად საჭირო. (თ. ჟორ-

დანი, ზ. ჭუმბურიძე, იქვე, გვ. 157).  
 უფირფასესი წიგნი მეტად  
 დაზიანებულია, შიგ ფურცლები და  
 მთელი რეკულები ამოუღვევიათ და  
 დაუტაციათ უცნობ პირებს სხვადას-  
 ვა დროს. ამიტომაც მას თითქმის  
 ორი მესამედი ნაწილი აკლია.  
 უდაბნოს მრავალთავის 46 ძეგლს  
 შორის აღსანიშნავია: „ორმოცთა  
 წამება“ „საკითხავი ხსენებისა წმ-  
 ილისა ბასილი მთავარეპისკოპოსი-  
 საი“, „თქმული იოანე ოქროპირისა“.  
 „აბო ტბილელის წამება“ „სწავალი  
 წმიდისა და ნეტარისა მამისა  
 ჩვენისა ანტონისა“ „გამოცხადება წმ-  
 ილისა ჯვარისა ზეცითა“ „პონისა  
 პატიოსნისა ჯუარისა“ „პონია სამჭ-  
 უალითაი წმინდისა ჯუარისა“ და  
 სხვა.  
 როგორც უდაბნოს წიგნების  
 აღწერიდან ჩანს, მონასტერს, გარდა  
 უნიკალური მრავალთავისა (IX ს.),  
 სხვა ხელნაწერებიც ჰქონია - იოანე  
 ოქროპირის თხზულებათა კრებუ-  
 ლისა (IX ს.) და იოანე ოქროპირის  
 თხზულებათა კრებულისა (XII სა-  
 უკუნე).  
 საინტერესო ხელნაწერები ინახე-  
 ბოდა „ჩვენი წარსულის მოტრფი-  
 ალის“ (თედო ჟორდანი) გენერალ  
 გრიგოლ გურიელის მდიდარ ბიბლი-  
 თოეკაში. 1890 წლის 4 სექტემბერს  
 ვახუთი „ივერია“ წერდა: „...თავად  
 გრიგოლ გურიელის სახლში ჩვენ  
 ვნახეთ სამი უძველესი ხელნაწერი  
 წიგნი, მათ შორის „ეთიკა, თეო-  
 ლოგია“, თარგმნილი წმ. მამისა  
 ჩვენისა ექვთიმისა, ხელნაწერი 15  
 ფურცელია, დაწერილია ლამაზი  
 ნუსხური ხელით დიკონის პორ-  
 ფირეს მიერ 1794 წელს. მეორე „  
 წიგნი სიბრძნისა იესო ზირაქისა“  
 ზუტურ-ნუსხურად დაწერილი, მესამე  
 უფრო შესანიშნავი და დიდის  
 ხელოვნებითაც არის ნაწერი... შიგ  
 ნახატებია ჩართული, მშვენივრად  
 დასურათებული, გადაწერილი 1793  
 წელს. პატივცემული თავადი, გრი-  
 გოლ გურიელი დიდი გულმოდ-  
 გინებით აგროვებდა გურიასი ხელ-  
 ნაწერებს და საისტორიო ნივთებს და  
 აპირებს შესწიროს წერა-კითხვის  
 გამავრცელებელ საზოგადოებას.“

**მანანა ლომაძე,**  
 ოზურგეთის საბუხეუმი  
 გაერთიანების ფონდების მთავარი  
 მცველი





**პირველად კამერაგამოღებო! მოსწავლეებო, მოგვამო,**  
**ბილოცავთ ასალი სასწავლო ფლის დაწყებას! განსაკუთრებით ვულოცავთ პირველკლასელებს და სტუდენტებს, ჩამს კონსტანტელებს.**  
**ტარიელ (გელა) აროშიაძე**  
 ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე



**სოფელ ვაკეში და სოფელ-ად საქართველოს ყველა სკოლის მოსწავლეს, განსაკუთრებით პირველკლასელებს, კამერაგამოღებო, სტუდენტებს ვულოცავ ასალი სასწავლო ფლის დაწყებას.**  
**ვახტანგ (ბაჩანა) ნიჟარაძე**  
 მასწავლებელი და მასწავლებლის კოლეჯის დირექტორი



**ასალი სასწავლო ფლის დაწყებას ვულოცავთ პირველ მოსწავლეს, კამერაგამოღებო და მოგვამო. ეს ფული ბავშვებისთვისაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჩვენი სოფლისთვის, რადგან პირველი სკოლა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გარემონტდა და ფულს იგი იზიარებს, მაგრამ 150 ფულს ითვლის. დარწმუნებული ვარ, ჩვენი სკოლა განსაკუთრებულ ფაქტორს შეიტანს მოგვარის თაობაზე ღირსეულად აღზრდის საქმეში.**  
**გელა სალუშვაძე**  
 სოფ. პირველი რაზმის დირექტორი

**ოჯობის მნიშვნელობის ყველა სკოლის მოსწავლეს, განსაკუთრებით პირველკლასელებს, მოგვამო, სტუდენტებს ვულოცავ ასალი სასწავლო ფლის დაწყებას.**  
**განსაკუთრებით ვულოცავ პირველკლასელებს, რომლებმაც ფულს პირველად შეაღეს სკოლის კარები. განათლებული მოგვარული თაობა პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.**  
**ბიბი ავალიანი**  
 ოჯობის მნიშვნელობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი



# ოჯობის თოჯინების თეატრის წარმატება ფესტივალზე

**ალიონი.** 1-5 სექტემბერს, ქ. ქობულეთში, სასტუმრო „ბესტ-ფესტივალ“ და ურეკის კულტურის სახლში ჩატარდა საქართველოს პროფესიული და სახალხო თოჯინების თეატრის ფესტივალი „გიგანტების შენი კუთხე და საქართველო“, სადაც წარმატებით გამოვიდა ოჯობის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრი. ამასთან დაკავშირებით ამ თეატრის მთავარ რეჟისორს **ოთარ კუტალაძეს** ვესაუბრეთ:

— ძალიან საინტერესო ფესტივალი იყო, სადაც საქართველოს მუნიციპალიტეტების 8 თეატრი მონაწილეობდა ბორჯომიდან, ლაგოდეხიდან, ჭიათურაიდან, წყალტუბოიდან, ზესტაფონიდან, ველისციხიდან, გურჯაანიდან. ჩვენ ამ ფესტივალზე წარმოდგენილი ვიყავით სპექტაკლით ვლადიმერ ორლოვის „ოქროს წიწილი“.

თავდაპირველად ჩვენები ქ. ქობულეთში გამართა, ხოლო შემდეგ უშუალოდ კონკურსს

ურეკის კულტურის სახლში უმასპინძლა. კონკურსის ცნობილი ჟიურის წევრები კიდურად ხელმძღვანელობდა. უნდა აღინიშნოს ოჯობის მუნიციპალიტეტის მერის კონსტანტინე შარაშენიძის თანადგომა. თავად ოჯობის თოჯინების თეატრმა უზრუნველყო ტექნიკური მომსახურება, ოჯობის თოჯინების თეატრის მსახიობებმა შესანიშნავად მოიგეს ფესტივალის წამყვანის როლები...

ოჯობის თეატრმა სპექტაკლის ჟიურის და მსწავლეების განსაკუთრებული პრიზი დაიმსახურა. ასევე თეატრის კოლექტივი დაჯილდოვდა დიპლომით: „საუკეთესო შემოქმედებითი ანსამბლურობისათვის“.

ცალკეულ ნომინაციებში სპექტაკლი დიპლომები მიიღეს: რეჟისორმა **ოთარ კუტალაძემ**, მსახიობმა **ნინო კვამყაძემ**, მუსიკალურად გამორჩეულმა **დავით მერველიძემ**; მსახიობებმა:

**გურამ კეკელიძემ, ელენე კვარაცხელიამ, ნინო გაგუამ;** საუკეთესო დირექტორად **ლამა კუტალაძე** აღიარეს.

მაგნიტში, ზღვის სანაპიროზე მოეწყო ფესტივალის საზეიმო დახურვა.

ფესტივალი ამიერიდან ყოველწლიურად სექტემბრის დასაწყისში გაიმართება.

\*\*\*

**ოჯობის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრი ბილოცავთ ასალი სასწავლო ფლის დადგომას!**



# ოჯობის თეატრი ორი სემინარის პრემიერისთვის ემზადება

**ოჯობის ალ. წყნაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრში ორი სემინარზე მიმდინარებს მუშაობა. მოწვეული რეჟისორის ელენე მაცხოვრავლის მიერ დადგმულ სემინარებს „ფილოსოფია“ და „წერილი ლას“ მღელვანველი მცურებელი რეჟისორის შემდეგ რეჟისორს რამდენიმე კითხვით მივმართეთ.**

**— ელენე, როგორც ვიცით ოჯობის თეატრში პირველად ხართ მოწვეული.**

— დას, ჩემი მოწვევა თეატრის ხელმძღვანელების მიერ მოხდა, თუმცა ვიტყვი, რომ ისეთი შერჩევა მაქვს, თითქმის დიდი ხნის მოგზაურობიდან სახლში დაბრუნდი. აქ ძალიან თბილი და სასიამოვნო გარემო დამხვდა. არც არის გასაკვირი, აქ ხომ ჩემი წინაპრები ბაბუა, ბაბუს ძმა, ბებია მოღვაწეობდნენ. სკოლაში სწავლის დროს ყველაზე უფროსი ჩამოვიდოდი ჩემს მშობლიურ კუთხეში. არადავფიქროვებდი ოჯობის თეატრში წარმოდგენილი სემინარები. მაშინაც არაჩვეულებრივი მსახიობები იყვნენ, შეიძლება თქვას, ფეხის ადგმა ამ თეატრში ვისწავლე ძალიან მისარია, რომ მომეცა საშუალება, ჩემს

საყვარელ თეატრში დავდგა სემინარები.

**— თქვენ ორი სემინარზე მუშაობთ, ეს სირთულეა არ გეჩნის?**

— არა, ეს სირთულეებს არ ქნის, პრაქტიკულ რეჟიმში ვმუშაობ. ერთ-ერთი არის უფროსი თაობის მცურებლისთვის თოჯინური სემინარი „ფილოსოფია“, რომელიც ნიკო ფილოსოფოსის სულის ცხოვრებასა და შემოქმედებას ასახავს და რომელშიც ასალი მთები ვაქვს გაცოცხლებული. სემინარში ოთხი ნიჟერი ახალგაზრდა მსახიობი მონაწილეობს: თეა კვამყაძე, გიორგი დოლიძე, მამუკა ბაბიძე და გიორგი ჩუგუაძე. მათთან მუშაობა საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ თეატრისთვის არაა მხოლოდ მსახიობები და ცდილობენ ცვლილებები აიფიქროს, რაც მათ პროფესიულ განვითარებას ხელს შეუწყობს და რაც მთავარია ამაღლებს მათ კვალიფიკაციას. ძალიან მისარია, რომ შესანიშნავად დაეუფლნენ თოჯინის ტარების ტექნიკას. რაც მთავარია ასევე საინტერესო და სასარგებლო იქნება სამიწველი.

**— ელენე, თქვენ დრამის რეჟისორი ხართ, თუმცა გიორგი მჭედის სახელობის თოჯინების სახელმწიფო თეატრში მუშაობდით გარკვეული პერიოდი და თქვენს მიერ დადგმულმა თოჯინურმა სემინარმა, რომელიც ბათუმის თეატრში განახორციელეთ სემინარისტების დიდი მოწონება დაიმსახურა თეატრალურ ფესტივალზე და თქვენ საუკეთესო ნამუშევრისთვის „ღურჯულის“ მფლობელი გახდით.**

— დას, მე დავამთავრე თეატრალური უნივერსიტეტის დრამის სარეჟისორო ფაკულტეტი, ჩემი პედაგოგები გახლდათ გიორგი კორძია და ვაჟა კობია. თოჯინური თეატრს რაც შეეხება, ძალიან მინდა რომ ეს დარგი უფრო განვითარდეს და სწორად იქნას აღქმული. პირდაპირ მოვალეობად მივიჩნევ ჩემს თავს, რომ ამ მიმართულებით ვიმუშაო. ზოგადად თოჯინას აქვს ის

უნიკალური შესაძლებლობა, რომ ილაპარაკოს ძალიან მნიშვნელოვან თემებზე, დასვას სწორი აქცენტები. მითუმეტეს ეს თოჯინები რომელსაც ჩვენ ასლი ვიყენებთ, ადამიანის შესაძლებლობებთან არის გათანაბრებული. ამ არაჩვეულებრივი თოჯინების მსატყარე კი ვახსენებ ვახტანგ ქორიძეს. მისარული ვარ რომ თეატრის საერთაშორისო ფესტივალზე წელს დრამისა და თოჯინური სემინარები გათანაბრებული იყო და ღურჯულის მფლობელიც ვაყვარებ.

**— რაც შეეხება საინტერესო თეატრებს?**

— „ფილოსოფია“ ოჯობის ფოლკლორის ცენტრში იქნება წარმოდგენილი სემინარის ბოლოს, ხოლო რაც შეეხება მეორე სემინარს „წერილი ლას“ მცურებელი ოქტომბერში იხილავს.

**— მეორე სემინარი, როგორც ვიცით, ერთ-ერთ მტკიცებულ თემს — ემიგრაციას ეხება.**

— მეორე სემინარი ეს არის ამათა მღალაშვილის მოთხრობის „წერილი ლას“ მხედვეთი შექმნილი წარმოდგენა. თავად ავტორი ძალიან ცნობილია, მისი წიგნები ბესელურია და იბეჭდება ავსტრიაში და გერმანიაში. არის საბას პრემიის მფლობელი. სემინარი ეხება ქალებს, რომლებიც ოჯახის გადარჩენად ემიგრაციაში მიდიან და ხშირ შემთხვევაში იქ გაუსაძლის მდომარეობაში იმყოფებიან. ასევე ეხება ქალებს, რომლებიც ოჯახში რჩებიან, თუმცა ბევრი მათგანი გაცოცხლებული მტკიცებულებებით იღებენ. ვიდრე ემიგრაციაში წასვლები და მცურებელი სწორედ ერთ-ერთ მთავარ იხილავს სცენაზე, რომელსაც შესანიშნავი მსახიობი ბელა კვამყაძე განასახიერებს. ჩვენ რა თქმაუნდა განზოგადებულ ფორმამ და ჭრილში წარმოდგენით ამ ყოველივეს და შევეცდებით ვილაპარაკოთ იმაზე, რაზეც არ ლაპარაკობენ ქალები, თუმცა ბევრ ფიქრობენ. ეს სემინარი არის მათი მოხერხება და მათ პრობლემებზე საუბარი.

„წერილი ლას“ შერეული ტექნიკის სემინარია, ქალბატონ ბელას პარტიკულარული გაუქვს იფიქროს თხილი მსახიობი, რომელიც „ფილოსოფია“ მონაწილეობენ. აქვე მინდა აღნიშნო, რომ ბელა კვამყაძე ძალიან დიდი ტექნიკის და ვინების მქონე მსახიობია. ბავშვობიდან არაერთი მისი სცენური სახე მაქვს ნანახი და ყოველთვის მიყვარდა მის მიერ შესრულებული როლები. ჩემთვის დიდი ფიქსაციაა ამ უნიჭიერების მსახიობთან მუშაობა.

ზოგადად დიდი პატივია ჩემთვის ოჯობის თეატრში სემინარის დადგმა და ძალიან დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ მცურებლისა და თეატრის ხელმძღვანელობის წინაშე. ახლაც თვალწინ მდგას ორი ათეული წლის წინ ვასო ჩიგოების მიერ დადგმული „გამარჯობათ ხალხო“, რომელიც ძალიან საინტერესო იყო თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ სემინარში გამოყენებული იყო ისეთი ტექნიკა, რომელიც ძალიან უცხო და ნოვატორული იყო იმ პერიოდში. იმდენად საინტერესო სამსახიობო ოსტატობა და რეჟისორული ხევა იყო, რომ ის მთავრდება, რაც ამ სემინარში გამოიწვია ჩემი, დღემდე მომეცება.

**— ელენე, თქვენ ახლად სხვადასხვა რეჟიმში მოღვაწეობთ, ეს ალბათ ძალიან საინტერესოა.**

— რა თქმაუნდა, ეს ძალიან საინტერესო პროცესია განვითარებისა და მრავალფეროვნებისთვის. ახალგაზრდა რეჟისორებმა აუცილებლად უნდა იმუშაონ რეჟიმებში. სწორედ ეს მიმართულება აქვს ოჯობის თეატრს. ჩემთვის ძალიან დიდი ფიქსაციაა ამ თეატრში სხვადასხვა თაობის მსახიობებთან ურთიერთობა. მე მაქსიმალურად ვეცდები გამოვიყენო ჩემი შესაძლებლობები და ჩემს შემოქმედებით ვაგუფთან ერთად სათანადო პროფესიონალიზმით დადგმული სემინარული წარმოდგენით მცურებლის წინაშე.

ესაუბრა **მთიმეან კუპულავა**

7 დღის ამინდის პროგნოზი						
მზე +9+18	მზე, +14+23	მზე, ღრუბელი +13+28	წვიმა +13+18	მზე, ღრუბელი +14+23	წვიმა +13+21	მცირე წვიმა +14+18
23 სექტემბერი ორშაბათი	24 სექტემბერი სამშაბათი	25 სექტემბერი ოთხშაბათი	26 სექტემბერი ხუთშაბათი	27 სექტემბერი პარასკევი	28 სექტემბერი შაბათი	29 სექტემბერი კვარა